16 ივნისი, 05:30 სთ...

ჩვენი თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში სწორედ ამ დროს დაეშვა...

შეგრძნებები, ემოციები, მოლოდინები ყველაფერი ერთად ამოქმედდა და ჩემს სხეულში ქაოტურად დაიწყო მოძრაობა... ვიცოდი მალე ყველას ვნახავდი, ეს შეგრძნება კი თითოეული ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ორმაგდებოდა.. ვუახლოვდებოდი 6 თვის უნახავ მეგობრებს, ჯგუფელებს, ჩემს უნივერსიტეტელებს და მშობლებს...

ვიცოდი კარი, რომ გაიღებოდა ყველა იქ დამხვდებოდა და ერთიანად დავბრუნდებოდი იმ რეალობაში, რაც ჩემმა უნივერსიტეტმა დროებით შემიცვალა...

ეხლა მიჭირს გავიხსენო ყველა ის დღე რაც ნანტის უნივერსიტეტში გაცვლით პროგრამის ფარგლებში გადაგვხდა, სიზმარივით გაირბინა ამ დრომ ... აი ისე... ღრმად, რომ ჩაისუნთქავ და ამოსუნთქვის დროს ნელ-ნელა ხვდები, რომ ის ჰაერი ილევა, იწურება და სადღაც ქრება...

ჩვენი დროც ესე ამოიწყურა, ძალიან მალე და თან ამავდროულად ყველაზე სასიამოვნოდ...

შეიცვალა ბევრი რამე... ჩვენი ხედვები, დამოკიდებულებები და რაც მთავარია სულ სხვაგვარად დავიწყე ეხლა ცხოვრების ღირებულებების გადაფასება...

6 თვე შეიძლება ნამდვილად არ მოგეჩვენოთ დიდ დროდ, მაგრამ წარმოიდგინეთ, რამდენი საინტერესო რამე შეიძლება გადაგხდეთ თავს 180 დღის განავლობაში...

180 დღე- რომელიც ყველა თავისებურად ძალიან მაგარი იყო... თითოეული საათის, წამის თუ წუთის გახსენებაც კი მაღიმებს ეხლა... ჩემი ახლად შეძენილი მეგობრები... ☺

არ შემიძლია არ ავღნიშნო უნივერსიტეტის უზომოდ დიდი მხარდაჭერა და ისიც, თუ როგორ დაგვიდგენენ მხარში ქართველი სტუდენტები და იქ მცხოვრები ადამიანები... უღრმესი მადლობა თქვენ ამისთვის, კიდევ ერთხელ ასე საჯაროდ <3

ბევრი .. მართლაც, რომ ძალიან ბევრი ვისწავლეთ, გავიგეთ და შევიცანით... გავძლიერდით, როგორც სულიერად ასევე ფიზიკურად ... ვცდილობდი მესწავლა, დამენახა ახალი, რაც გამოადგებოდა ჩემს უნივერსიტეტს და რათქმა უნდა ჩემს ქვეყანასაც...

აქამდე ცხოვრებაში ყველაფერს ლამაზი ფერებით ვუყურებდი, ... განსხვავებების დანახვა, რაც ჩამოვედი მას შემდეგ ვისწავლე... რათქმაუნდა ყველაზე დიდი განსხვავება,რომელსაც ვერსად ვერ დაემალები ქვეყნების დონესთან დაკავშირებით იყო... ცოტა საწყენია მსგავსი დიდი განსხვავება, მაგრამ ყველაზე სასიამოვნო იმის გაცნობიერება იყო, ამ განსხვავებებში, რომ ადგილი სადაც შენ სწავლობ სრულებითაც არ ჩამოუვარდება იქაურ სტანდარტს... არამედ ვიტყოდი პირიქითაც...

ეხლაც უნივერსიტეტში ვზივარ და ამ ტექსტს ვწერ,რატომღაც ძალიან მომინდა თქვენთვის ესეც გამეზიარებინა ... გარემოს ვათვალიერებ ირგვლივ და მგონია, რომ გარეთ გასვლისას ისევ ნანტის ქუჩებში ვივლი... და ეს ყველაფერი იმ სტანდარტებმა განაპირობა, რასაც დღეს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი სთავაზობს თავის სტუდენტებს...

12 დღეა რაც აქ ვარ და ჯერ კიდევ არ გამნელებია ის ემოციები , რაც ამ პერიოდში დამიგროვდა.... ეხლა მომავალი ღრმა ჩასუნთქვის ვემზადები, რომელიც ალბათ ისევ ძალიან მალე და სასიამოვნოდ გაივლის ჩემს ცხოვრებში....

და ბოლოს ... მე კი ერთს გეტყვით, არასდროს არ დაგავიწყდეთ - ოცნებები ხდება - ! და არ მისცეთ საკუთარ თავს ამ ოცნებების ახდენაზე უარის თქვის საშუალება !

სოფიო თავბერ

June 16, 05:30…

This is the exact time when our plane landed at Tbilisi airport…

Feelings, emotions, expectation – everything started to move in me chaotically… After six months departure I was returning to my family, my University, my friends…

It's very difficult to remember each day spent in Nantes; they flew like a dream. I lot of things changed, our visions, attitudes and what is more important I started to overestimate life values…

I have to note the University's immense support. Thank you for this.

We really studied, understood and cognized lots of things. We became stronger physically and spiritually… I tried to study something new what would give benefit to my University and my country.

Finally, I'd like to tell everybody – dreams come true!

Sophio Tavberidze